



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49212394

თარიღი:27/08/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 63**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „წყალტუბოს განვითარებისათვის“ გაუქმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 30-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-14 პუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების-ნაილი ჭოლაძის (19/49212286-49 16.08. 2021 წელი) , რევაზ დიდავას (19/49212284-49 16.08.2021 წელი), შალვა კილაძის (19/48212282-49 16.08.2021 წელი), განცხადებებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „წყალტუბოს განვითარებისათვის“ გაუქმება 2021 წლის 16 აგვისტოდან.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

